



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 297
02/02/2018

ქალაქი ბათუმი

297-05-4-201802021250



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ სარფის ცენტრში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრის შენობაზე არსებული ფართის სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების სარგებლობის ფორმით გადაცემაზე თანხმობის მიცემისა და მათზე საიჯარო ქირის საწყისი საფასურის დადგენის შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის №57 განკარგულებისა და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების უფროსის ანა ბაჟაშვილის 2018 წლის 26 იანვრის №246-05 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. ორი სარეკლამო დაფის განთავსების მიზნით სოფელ სარფის ცენტრში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრის შენობაზე არსებული ფართის სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით.

2. ერთ სარეკლამო საშუალებაზე მისაკუთვნებელი ფართი შეადგენს 4x20 კვ.მ, ხოლო მეორე სარეკლამო საშუალებაზე მისაკუთვნებელი ფართი კი 5x12 კვ.მ, რომლის საწყისი თვიური საიჯარო თანხა 1 კვ.მ -ზე შეადგენს 18 ლარს, ე.ი მთლიანმა თვიურმა საიჯარო თანხამ შეადგინა 2520 (ორიათასხუთასოცი) ლარი.

3. შენობის ფართი სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გაიცეს ხუთი წლის ვადით.

4. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია/„ბე“განისაზღვროს 756 (შვიდასორმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

5. „ბიჯი“ განისაზღვროს 76 (სამოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

6. აუქციონში გამარჯვებულმა საიჯარო თანხის გადახდა უნდა აწარმოოს განთავსებული სარეკლამო დაფის რაოდენობის შესაბამისად.

7. დამტკიცდეს სარეკლამო დაფის განთავსებისათვის სოფელ სარფის ცენტრში მდებარე საზოგადოებრივი ცენტრის შენობაზე არსებული ფართის სასყიდლიან სარგებლობაში (იჯარა) გადაცემაზე ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ სააუქციონო განცხადება (თან ერთვის).

8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილებას.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

